

ერთობლივი საწარმო „აზფენ“-ის საქართველოს ფილიალი
ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

3-5

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

6

სრული შემოსავლის ანგარიშგება

7

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1.	ძირითადი საქმიანობა	9
2.	მომზადების საფუძველი	9
3.	სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	10
4.	გამოცემული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული	24
5.	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	24
6.	წინა პერიოდის კორექტირებები და რეკლასიფიკაციები	25
7.	ძირითადი საშუალებები	27
8.	არამატერიალური აქტივები	28
9.	ფული და მისი ექვივალენტი	28
10.	სასაქონლო-მატერიალური მარაგები	29
11.	სავაჭრო მოთხოვნები	29
12.	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	29
13.	იჯარები	29
14.	შემოსავალი	30
15.	რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	31
16.	ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	31
17.	არასაოპერაციო შესამოავალი/ (ხარჯი)	32
18.	ფინანსური რისკი	32
19.	პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები	35
20.	ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	35
21.	საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	36

ერთობლივი საწარმო „აზფენ“-ის საქართველოს ფილიალი
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ქართული ლარი)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	6,077,988	7,464,018
აქტივის გამოყენების უფლება		168,339	168,339
სულ გრძელვადიანი აქტივები		6,246,327	7,632,357
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	8	5,626,166	5,779,353
წინასაწარ გადახდილი ავანსები		24,262	31,986
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	126,085	1,495,569
საგადასახადო აქტივი		10,827	6,386
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	7	67,012	215,000
სულ მოკლევადიანი აქტივები		5,854,352	7,528,294
სულ აქტივები		12,100,679	15,160,651
კაპიტალი			
სათაო ოფისის მიზნობრივი დაფინანსება		-	-
გაუნაწილებელი მოგება		-	-
სულ კაპიტალი		-	-
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	764,367	123,348
საიჯარო ვალდებულება		195,153	195,153
სულ მიმდინარე ვალდებულებები		959,520	318,501
სულ ვალდებულებები წმინდა ნარჩენ ღირებულებამდე, რომელიც სათაო ოფისისათვის არის მიკუთვნებადი		959,520	318,501
წმინდა ნარჩენი ღირებულება მიკუთვნებადი სათაო ოფისისათვის		11,141,159	14,842,150

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2021 წლის 25 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

თოგრულ ომაროვი

ფილიალის დირექტორი

თბილისი, საქართველო

6-33 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი

ერთობლივი საწარმო „აზფენ“-ის საქართველოს ფილიალი
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ქართული ლარი)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	6,077,988	7,464,018
აქტივის გამოყენების უფლება		168,339	168,339
სულ გრძელვადიანი აქტივები		6,246,327	7,632,357
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	8	5,626,166	5,779,353
წინასაწარ გადახდილი ავანსები		24,262	31,986
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	126,085	1,495,569
საგადასახადო აქტივი		10,827	6,386
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	7	67,012	215,000
სულ მოკლევადიანი აქტივები		5,854,352	7,528,294
სულ აქტივები		12,100,679	15,160,651
კაპიტალი			
სათაო ოფისის მიზნობრივი დაფინანსება		-	-
გაუნაწილებელი მოგება		-	-
სულ კაპიტალი		-	-
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	764,367	123,348
საიჯარო ვალდებულება		195,153	195,153
სულ მიმდინარე ვალდებულებები		959,520	318,501
სულ ვალდებულებები წმინდა ნარჩენ ღირებულებამდე, რომელიც სათაო ოფისისათვის არის მიკუთვნებადი		959,520	318,501
წმინდა ნარჩენი ღირებულება მიკუთვნებადი სათაო ოფისისათვის		11,141,159	14,842,150

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2021 წლის 25 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

თოგრულ ომაროვი
 ფილიალის დირექტორი
 თბილისი, საქართველო





6-33 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ერთობლივი საწარმო „აზფენ“-ის საქართველოს ფილიალი
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი	11	234,398	43,780,808
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12	(1,748,107)	(13,670,586)
საერთო მოგება		(1,513,709)	30,110,222
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(2,195,871)	(1,885,245)
მოგება მოგება		(3,709,580)	28,224,977
არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	14	8,589	775,531
მოგება დაბეგვრამდე		(3,700,991)	29,000,508
მოგების გადასახადი			
ზრდა/ შემცირება წმინდა ნარჩენ ღირებულებაში, რომელიც მიკუთვნება სათაო ოფისისათვის ოპერაციებიდან		(3,700,991)	29,000,508

ფილიალი არ გამოსცემს კაპიტალის ინსტრუმენტებს და შესაბამისად არ წარმოადგენს კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას.

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2021 წლის 25 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

თოგრულ ომაროვი
 ფილიალის დირექტორი
 თბილისი, საქართველო

6-33 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი

ერთობლივი საწარმო „აზფენ“-ის საქართველოს ფილიალი
სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი	11	234,398	43,780,808
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12	(1,748,107)	(13,670,586)
საერთო მოგება		(1,513,709)	30,110,222
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(2,195,871)	(1,885,245)
მოგება მოგება		(3,709,580)	28,224,977
არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	14	8,589	775,531
მოგება დაბეგვრამდე		(3,700,991)	29,000,508
მოგების გადასახადი			
ზრდა/ შემცირება წმინდა ნარჩენ ღირებულებაში, რომელიც მიკუთვნებადია სათაო ოფისისათვის ოპერაციებიდან		(3,700,991)	29,000,508

ფილიალი არ გამოსცემს კაპიტალის ინსტუმენტებს და შესაბამისად არ წარმოადგენს კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას.

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2021 წლის 25 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

თოგრულ ომაროვი
ფილიალის დირექტორი
თბილისი, საქართველო



6-33 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი

ერთობლივი საწარმო „აზფენ“-ის საქართველოს ფილიალი
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობა	2020	2019
ზარალი	(3,700,991)	29,000,508
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	1,283,226	1,926,050
გრძელვადიანი აქტივების ჩამოწერა	102,804	393,413
მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	-	-
ფინანსური ხარჯი	-	18,959
წმინდა ზარალი (მოგება) საკუროსო სხაობიდან	(15,612)	(819,808)
	(2,330,573)	30,519,122
საბრუნავი კაპიტალის კორექტირებები:		
ცვლილებები მარაგებში	153,187	1,111,338
დებიტორული მოთხოვნების და გადახდილი ავანსების ცვლილება	1,385,979	37,194,368
კრედიტორული დავალიანებების ცვლილება	640,136	(6,950,212)
ცვლილებები წინასწარ გადახდილ ხარჯებში	7,724	116,361
წმინდა საგადასახადო ვალდებულებების ცვლილება	(4,441)	(16,215)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები პროცენტებამდე მოგების გადასახადის დაბეგრამდე	(147,988)	61,974,762
გადახდილი პროცენტი	-	(18,959)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	(147,988)	61,955,803
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	-	(870,312)
საინვესტიციო საქმიანობიდან გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	-	(870,312)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-	(52,432,246)
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	-	10,137,884
დივიდენდის გაცემა	-	(18,401,414)
საიჯარო ვალდებულების ძირი თანხის დაფარვა	-	(158,654)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	-	(60,854,430)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/ კლება	(147,988)	231,061
სავალუტო კურსის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-	(26,061)
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	215,000	10,000
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	67,012	215,000

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2021 წლის 25 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

თოგრულ ომაროვი
 ფილიალის დირექტორი

 თბილისი, საქართველო

6-33 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ერთობლივი საწარმო „აზფენ“-ის საქართველოს ფილიალი
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობა	2020	2019
ზარალი	(3,700,991)	29,000,508
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	1,283,226	1,926,050
გრძელვადიანი აქტივების ჩამოწერა	102,804	393,413
მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	-	-
ფინანსური ხარჯი	-	18,959
წმინდა ზარალი (მოგება) საკურსო სხაობიდან	(15,612)	(819,808)
	<u>(2,330,573)</u>	<u>30,519,122</u>
საბრუნავი კაპიტალის კორექტირებები		
ცვლილებები მარაგებში	153,187	1,111,338
დებიტორული მოთხოვნების და გადახდილი ავანსების ცვლილება	1,385,979	37,194,368
კრედიტორული დავალიანებების ცვლილება	640,136	(6,950,212)
ცვლილებები წინასწარ გადახდილ ხარჯებში	7,724	116,361
წმინდა საგადასახადო ვალდებულებების ცვლილება	(4,441)	(16,215)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები პროცენტებამდე მოგების გადასახადის დაბეგვრამდე	<u>(147,988)</u>	<u>61,974,762</u>
გადახდილი პროცენტი	-	(18,959)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	<u>(147,988)</u>	<u>61,955,803</u>
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	-	(870,312)
საინვესტიციო საქმიანობიდან გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	-	<u>(870,312)</u>
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-	(52,432,246)
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	-	10,137,884
დივიდენდის გაცემა	-	(18,401,414)
საიჯარო ვალდებულების ძირი თანხის დაფარვა	-	(158,654)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	-	<u>(60,854,430)</u>
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/ კლება	(147,988)	231,061
სავალუტო კურსის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-	(26,061)
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	<u>215,000</u>	<u>10,000</u>
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	67,012	215,000

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2021 წლის 25 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

თოგრულ ომაროვი
 ფილიალის დირექტორი
 თბილისი, საქართველო



6-33 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წმინდადებოთ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ძირითადი საქმიანობა

ერთობლივი საწარმო „აზფენ“-ის საქართველოს ფილიალი (შემდგომში-ფილიალი) წარმოადგენს უცხოური საწარმოს ფილიალს, რომელიც დაარსდა ერთობლივი საწარმო „აზფენ“-ის მიერ (შემდგომში სათაო ოფისი) 2014 წლის 21 ოქტომბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ფილიალი არ წარმოადგენს ცალკე დაარსებულ იურიდიულ პირს, იგი უცხოური საწარმოს ფილიალია, რომელიც დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ საიდენტიფიკაციო კოდით: 404480575.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სათაო ოფისის 100 %-იანი წილის მფლობელი და მაკონტრაოლებელი მხარეები არიან:

	2020	2019
აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობის კომპანია (აზერბაიჯანი)	60%	60%
კომპანია „თეფენ“ (თურქეთი)	40%	40%
	100%	100%

სათაო ოფისი წარმოადგენს BP-ის (ბრიტიშ პეტროლეუმი) კონტრაქტორს და საქართველოს ტერიტორიაზე ფილიალის მეშვეობით ახორციელებს „სამხრეთ კავკასიის გაზსადენის გაფართოებისა“ (SCPX) და დასავლეთის მიმართულების სექციური ცვლილებების პროექტებს (WREP). შესაბამისად, ფილიალი ორიენტირებულია მხოლოდ ზემოაღნიშნული პროექტების ფარგლებში სამუშაოების შესრულებაზე.

სათაო ოფისი არ აწარმოებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც ხელმისაწვდომია საჯარო გამოყენებისთვის.

ფილიალის რეგისტრირებული მისამართი არის ძველი თბილისის რაიონი, ბამბის რიგი N7, თბილისი, საქართველო, ხოლო მისი ფაქტობრივი მისამართია: კ. ხეთაგუროვის ქ. N36, თბილისი საქართველო.

ამ ანგარიშების გამოშვების მომენტში ფილიალის დირექტორი არის თოგრულ ომაროვ (P4652230, აზერბაიჯანი).

2. მომზადების საფუძველი

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისაგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება) ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობამ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო სათაო ოფისის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფინანსურ რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა.

COVID 19-ის ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში შექმნილი ვითარების გამო, ეკონომიკური გარემო გამოწვევების წინაშე დადგა. ფილიალმა მოახდინა არსებული სიტუაციის პირობებში სამომავლო პერსპექტივის შეფასება (იხილეთ შენიშვნა 21) და შედეგად, ფილიალის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ეჭვი ფილიალის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვაგვარად არაა აღნიშნული.

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც ფილიალის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი).

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომელიც გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შემდეგია:

	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
1 USD/GEL	3.2766	2.8677
1 EUR/GEL	4.0233	3.0701
1 AZN/GEL	1.9288	1.6861
<i>წლის საშუალო გაცვლითი კურსი</i>	2020	2019
1 USD/GEL	3.1104	2.8192
1 EUR/GEL	3.5519	3.1553
1 AZN/GEL	1.8299	1.6598

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება) ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარება

ძირითადი საშუალებები პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით.

თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალებები, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მის თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით.

მოგება და ზარალი რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშებში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშებში მისი მოხდენისთანავე.

შემდგომი შეფასება / აღრიცხვა

ცვეთა გამოითვლება შემცირებადი ნაშთის მეთოდით. ცვეთის გაანგარიშებისთვის გამოყენებულია შემდეგი განაკვეთები:

<i>ძირითადი საშუალების ჯგუფი</i>	<i>განაკვეთები</i>
შენობა ნაგებობები	15 %
მანქანა დანადგარები	8-20%
ოფისის აღჭურვილობა	15-20%
ავიჯი და სხვა ინვენტარი	15-20%

აქტივზე ცვეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის. ცვეთა არ წყდება, როდესაც აქტივი გადადის მოცდენის რეჟიმში ან აღარ გამოიყენება აქტიურად, თუ აქტივი მთლიანად არ არის გაცვეთილი.

სასარგებლო მომსახურების ვადა მიმოიხილება ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს, ნებისმიერი ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშებში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება) არამატერიალური აქტივები

ფილიალი ფლობს განსაზღვრული ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს, ისინი აღიარებულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალები, არსებობის შემთხვევაში. ამორტიზაცია ერიცხება წრფივი მეთოდით. პროგრამულ უზრუნველყოფაზე დარიცხული ამორტიზაცია წარდგება რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში.

სასარგებლო მომსახურების ვადა მიმოიხილება ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს, ნებისმიერი ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულად.

იჯარა

ფილიალი აფასებს ხელშეკრულების დაწყებისას ხელშეკრულებას, არის თუ არა იგი მთლიანად იჯარა ან შეიცავს თუ არა იჯარას. ანუ, თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს იდენტიფიცირებული აქტივის სარგებლობის კონტროლის უფლებას პერიოდის განმავლობაში.

ფილიალი როგორც მოიჯარე

ფილიალი მიმართავს ერთიანი აღიარებისა და გაზომვის მიდგომას ყველა იჯარისთვის, გარდა მოკლევადიანი იჯარისა და დაბალი ღირებულების აქტივების.

აქტივის გამოყენების უფლება

აქტივის გამოყენების უფლება აღიარდება საიჯარო ვადის დაწყების თარიღისთვის. აქტივის გამოყენების უფლება აღიარდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების საწყის თანხას, საჭიროების შემთხვევაში კორექტირებების გათვალისწინებით. აქტივის გამოყენების უფლება იცვითება წრფივი მეთოდის საფუძველზე, უმცირესით საიჯარო ვადასა და აქტივის სავარაუდო სასარგებლო ვადას შორის, შემდეგნაირად:

- შენობა -----იჯარის ვადა.

აქტივის გამოყენების უფლება ექვემდებარება გაუფასურებას.

საიჯარო ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულება აღიარდება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის. საიჯარო ვალდებულების საწყისი აღიარება ხდება საიჯარო გადასახდელების დღევანდელ ღირებულებით, რომელთა გადახდა უნდა მოხდეს საიჯარო ვადის განმავლობაში, დადისკონტირებული იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, ხოლო თუ აღნიშნული განაკვეთის განსაზღვრა შეუძლებელია, ზღვრული საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საიჯარო გადახდები, მოიცავს ფიქსირებულ გადასახადებს, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; ინდექსებზე ან განაკვეთებზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს; თანხებს, რომლებიც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით; შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას და იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას. ცვლადი საიჯარო გადახდები რომელიც დამოკიდებული არ არის ინდექსებზე ან განაკვეთებზე აღიარდება ხარჯად, ხარჯის გაწევის პერიოდში.

მოკლევადიანი იჯარები

ფილიალი იყენებს მოკლევადიანი იჯარის აღიარებიდან განთავისუფლებას, მანქანა-დანადგარების მოკლევადიან იჯარებზე (ის იჯარები, რომელიც ვადა იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის შეადგენს არანაკლებ 12 თვეს და არ მოიცავს საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას). საიჯარო გადახდები დაკავშირებული მოკლევადიან იჯარებთან აღიარდება ხარჯებში წრფივი მეთოდის საფუძველზე საიჯარო ვადის განმავლობაში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის ყველზე დაბალი ღირებულებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალური დანახარჯების სპეციფიკური იდენტიფიკაციის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის არსებული სამუშაო მდგომარეობაში მიყვანასთან. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან.

მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები აღირიცხება გადახდის ფაქტობრივი ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურება. საავანსო გადახდები კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები მიღებული იქნება ერთ წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდები უკავშირდება აქტივს, რომელიც თავად იქნება პირველადი აღიარებისას კლასიფიცირებული, როგორც გრძელვადიანი. აქტივების შესაძენი წინასწარი გადახდები გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც ფილიალი მოიპოვებს აქტივზე კონტროლს ან მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი შევა ფილიალში. სხვა საავანსო გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც მიღებულია საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება. თუ არის იმის ინდიკატორები, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი და მომსახურება არ იქნება მიღებული, საავანსო გადახდების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღირება

აღიარების თარიღი

ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც ფილიალმა აქტივის ან ვალდებულების შესყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რომელიც მოითხოვს აქტივების და ვალდებულებების გადაცემას კანონმდებლობით ბაზარზე ზოგადად არსებული პრაქტიკით განსაზღვრულ პერიოდში.

თავდაპირველი შეფასება

თავდაპირველი შეფასებისთვის ფინანსური ინსტრუმენტის კლასიფიკაცია დამოკიდებულია სახელშეკრულებლო პირობებსა და ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელზე. თავდაპირველად ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფინანსური აქტივი და ვალდებულების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, მაშინ ამ თანხებს ემატება ან აკლდება გარიგების დანახარჯები.

ფინანსური აქტივის შეფასების კატეგორიები

2018 წლის 1 იანვრიდან, ფილიალი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელიდან და სახელშეკრულებლო პირობებიდან გამომდინარე ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთით:

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

- ▶ ამორტიზირებული ღირებულება;
- ▶ რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში;
- ▶ რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში.

2018 წლის 1 იანვრამდე ფილიალი თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენდა სავაჭრო მოთხოვნებად (ამორტიზირებული ღირებულება), გასაყიდად გამიზნულად ან დაფარვის ვადამდე ფლობილად (ამორტიზირებული ღირებულება).

ფინანსური ვალდებულებები, სასესხო დავალიანებისა და ფინანსური გარანტიების გარდა, ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, როდესაც ისინი გამიზნულია ვაჭრობისთვის, ან არის წარმოებული ინსტრუმენტები, ან რეალური ღირებულებითაა კლასიფიცირებული.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ამორტიზირებული ღირებულებით

2018 წლის 1 იანვრამდე სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მოიცავდა არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ იყო კოტირებული აქტიურ ბაზარზე, გარდა იმ აქტივებისა:

- ▶ რომლებსაც ფილიალი უპირებს დაუყოვნებლივ ან უახლოეს მომავალში გაყიდვას;
- ▶ რომლებსაც ფილიალი თავდაპირველი აღიარებისას მიაკუთვნებს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახულის ან გასაყიდად გამიზნულის კატეგორიას;
- ▶ რომლებზეც ფილიალმა შეიძლება სრულად ვერ ამოიღოს თავდაპირველი ინვესტიცია ამა თუ იმ მიზეზით, გარდა კრედიტის გაუარესების მიზეზისა, და რომელიც მიეკუთვნება გასაყიდად გამიზნულის კატეგორიას.

2018 წლის 1 იანვრიდან ფილიალი ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შეფასებას ამორტიზირებული ღირებულებით იმ შემთხვევაში, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია:

- ▶ ფინანსური აქტივი იმართება ისეთი ბიზნესმოდელით, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ▶ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდებს.

ზემოთხსენებული პირობების დეტალები მოცემულია ქვემოთ:

ბიზნესმოდელის შეფასება

კომპანიის ბიზნესმოდელი განისაზღვრება ისეთ დონეზე, რომელიც გვიჩვენებს, რა მეთოდებით ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფების ერთობლივად მართვა ბიზნესის გარკვეული მიზნების მისაღწევად.

კომპანიის ბიზნესმოდელი არ წარმოადგენს ცალკეული ინსტრუმენტებისთვის გამოსაყენებელ საკლასიფიკაციო მიდგომას, არამედ იგი უნდა განისაზღვროს აგრეგირების უფრო მაღალ დონეზე და დაფუძნებული უნდა იყოს ისეთ დაკვირვებად ფაქტორებზე, როგორიც არის, მაგალითად:

- ▶ როგორ ხდება ბიზნესმოდელის ეფექტურობისა და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების შეფასება და ამ საკითხების შესახებ საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ინფორმირება;

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

- ▶ რისკები, რომლებიც გავლენას ახდენს მოცემული ბიზნესმოდელის (და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების) ეფექტურობაზე და კონკრეტულად როგორ ხორციელდება ამ რისკების მართვა;
- ▶ რა ფორმით ხდება ბიზნესის ხელმძღვანელების ანაზღაურება (მაგალითად, ანაზღაურება მართული აქტივების სამართლიან ღირებულებას ეფუძნება თუ მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ოდენობას);
- ▶ მოსალოდნელი სიხშირე, ღირებულება და გაყიდვების დროულობა ასევე მნიშვნელოვანია კომპანიის შესაფასებლად.

ბიზნეს მოდელის შეფასება დაფუძნებულია გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელ სცენარებზე, „ყველაზე უარესი“ ან „სტრესული შემთხვევების“ სცენარების გათვალისწინების გარეშე. თუ ფულადი ნაკადები ისეთი გზით წარმოიქმნება, რომელიც განსხვავდება ბიზნესმოდელის შეფასების თარიღით კომპანიის მოლოდინებისგან, ეს არ გამოიწვევს მოცემული ბიზნესმოდელის ფარგლებში დარჩენილი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ცვლილებას, თუმცა ინფორმაციის გათვალისწინება მოხდება მომავალში ახლად წარმოქმნილი ან ახლად შესყიდული ფინანსური აქტივების შეფასებისას

მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების (SPPI) ტესტირება

კლასიფიკაციის შემდეგ ეტაპზე ფილიალი აფასებს ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობებს, რათა დაადგინოს, აკმაყოფილებს თუ არა ისინი ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირებას.

„ძირითადი თანხა“ ტესტირების მიზნებისთვის განისაზღვრება როგორც ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას და შეიძლება შეიცვალოს ფინანსური აქტივის სასარგებლო გამოყენების მანძილზე (მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ხორციელდება გადახდები ძირითადი თანხის დასაფარად ან პრემიუმის/ დისკონტის ამორტიზაცია).

ფულის დროითი ღირებულების და საკრედიტო რისკის ანაზღაურება პროცენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტებია. იმისათვის, რომ განისაზღვროს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას, ფილიალი მიმართავს მსჯელობას და ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორიცაა ვალუტა, რომელშიც გამოსახულია ფინანსური აქტივი და პერიოდი, რომლისთვისაც დადგენილია საპროცენტო განაკვეთი. ამისგან განსხვავებით, სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ითვალისწინებს არაარსებითზე მეტ რისკს ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ცვალებადობას, რომლებიც არ უკავშირდება ძირითად სახელშეკრულებო გარიგებას, არ წარმოქმნის ისეთ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც მხოლოდ ძირითადი თანხის და დაუფარავ ბალანსზე დარიცხული პროცენტის გადახდას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევებში ფინანსური აქტივი უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

გაუფასურება

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალები როგორც მიმდინარე და გრძელვადიანი მოთხოვნებისთვის ასევე სახელშეკრულებო აქტივის აღიარდება გამარტივებული მიდგომის შესაბამისად, ფასს 9 ის ფარგლებში ვადაგადაცილებების მატრიცის გამოყენებით იმის დასადგენად, თუ რა არის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები. პროცესში ფილიალი ახდენს მოთხოვნის გადაუხდელობის ნაწილის ალბათობის შეფასებას. იმისთვის, რომ ფილიალმა განსაზღვროს მოთხოვნის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები, მიღებულ ალბათობას ამრავლებს საკრედიტო ზარალებზე წარმოშობილი დეფოლტის შემთხვევაში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება) ფინანსური ინსტრუმენტი (გაგრძელება)

გაუფასურების რეზერვები დაკავშირებულ მხარეებთან არსებულ მოთხოვნებზე და გაცემულ სესხებზე აღიარდება მომავალზე ორიენტირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების მოდელის შესაბამისად. მეთოდოლოგია, რომელსაც ფილიალი იყენებს გაუფასურების რეზერვის განსაზღვრისთვის, დაფუძნებულია ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი. იმ ფინანსურ აქტივებზე, რომელთა საწყისი აღიარების შემდეგ არ გაზარდია საკრედიტო რისკი, ფილიალი ანგარიშობს 12 თვეში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალებს და საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ბრუტო მეთოდით. იმ ფინანსურ აქტივებზე, რომელთა საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა საკრედიტო რისკი, ფილიალი ანგარიშობს არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალებს და საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ბრუტო მეთოდით. იმ აქტივებზე, რომელსაც ფილიალი განსაზღვრავს, რომ უკვე გაუფასურებულია, ანგარიშობს არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალებს და საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ნეტო მეთოდით.

ფინანსური ვალდებულებების შეფასების კატეგორიები

2018 წლის 1 იანვრიდან, ფილიალი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას ახდენს ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთით:

- ▶ ამორტიზირებული ღირებულება;
- ▶ რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში;
- ▶ რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში.

ფილიალი არ ფლობს ფინანსურ ვალდებულებებს კლასიფიცირებულს რეალური ღირებულებით მოგება ან ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მიღებული სესხები და სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება, თუ:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება) ფინანსური ინსტრუმენტი (გაგრძელება)

- ▶ ფილიალმა დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- ▶ ფილიალმა (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, თუ ფილიალმა გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი, ან კონტროლი აქტივებზე, ფილიალის მიერ აქტივის აღიარება ხდება უწყვეტი გამოყენების პირობით. შემდგომი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

ჩამოწერა

2018 წლის 1 იანვრიდან ფინანსური აქტივები ჩამოიწერება ნაწილობრივ ან სრულად მას შემდეგ, რაც ფილიალი შეწყვეტს თანხის ამოღების მცდელობას. თუ ჩამოსაწერი თანხა დაგროვილი ზარალის რეზერვზე მეტია, სხვაობა ჯერ ემატება რეზერვს და შემდგომ გამოიქვითება საერთო საბალანსო ღირებულებიდან. შემდგომ პერიოდში თანხის ამოღება კრედიტდება საკრედიტო ზარალის ხარჯში. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღირება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულის სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სავაჭრო მოთხოვნები

დებიტორული დავალიანება თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. შემდგომ მათი აღირიცხვება მართიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, გაუფასურების გამოკლებით. გაუფასურება სავაჭრო მოთხოვნებზე წარმოიშვება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური რწმუნება იმის რომ, ფილიალი ვერ შეძლებს თანხის მიღებას დებიტორის საწყისი ვადის შესაბამისად.

არა-ფინანსური აქტივების გაუფასურება

თითოეულ საანგარიშო პერიოდში, ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები განიხილება, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება, რომ ამ აქტივებმა განიცადა გაუფასურების დანაკარგი. თუ არსებობს მინიშნება შესაძლო გაუფასურებაზე, ნებისმიერი ასეთი აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივის ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასდება და შედარდება მის საბალანსო მაჩვენებელთან, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება არის უფრო მცირე, საბალანსო მაჩვენებელი შემცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების დანაკარგი აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

არა-ფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

თუ გაუფასურების დანაკარგი არაფინანსური აქტივებისათვის მითითებულია, აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების კორექტირებულ შეფასებამდე, მაგრამ არა უმეტეს იმ თანხისა, რაც განსაზღვრული იქნებოდა აქტივისთვის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფისთვის), რომელსაც არ ჰქონდა გაუფასურების დანაკარგი წინა წლებში. ადრე აღიარებული გაუფასურების დანაკარგის აღდგენა აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

ფული და მისი ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღირიცხება როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის ვალდებულებებს და აღიარდება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ფილიალს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები აქვს წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, და ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და შესაძლებელია ვალდებულებების მოცულობის მისაღები სიზუსტით შეფასება.

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელდება, თუ ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალი არ არის. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელდება, თუ ეკონომიკური სარგებლის მიღება მოსალოდნელია.

მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლები

ფილიალმა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განცალკევებულად ასახა აქტივები და ვალდებულებები მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციის საფუძველზე. ფილიალმა აქტივი განიხილა როგორც მოკლევადიანი თუ იგი:

- ▶ აქტივს ძირითადად ფლობს სავაჭრო დანიშნულებით;
- ▶ აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს, ან მიზნად ისახავს მის გაყიდვას ან მოხმარებას ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

სხვა დანარჩენი აქტივები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ვალდებულება მოკლევადიან ვალდებულებად მიიჩნევა თუ:

- ▶ მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლები (გაგრძელება)

- ▶ ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- ▶ უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში; ან
- ▶ საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სხვა დანარჩენი ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

წმინდა ნარჩენი ღირებულება, მიკუთვნებადი სათაო ოფისისთვის

ფილიალი არ წარმოადგენს ცალკე იურიდიულ პირს და შესაბამისად, არ გამოუცია საკუთარი კაპიტალ ინსტრუმენტები. სათაო ოფისს უფლება აქვს მოითხოვოს ფილიალში მისი ინვესტიციების გამოსყიდვა როგორც ნაღდი ასევე უნაღდო ანგარიშსწორებით. გამოსყიდვის ეს ვალდებულება წარმოქმნის გამოსყიდვის თანხის ამჟამინდელი ღირებულების ვალდებულებას. ამ ვალდებულების ზუსტი თანხის დადგენა არ არის პრაქტიკული, რადგან უცნობია, როდის ან თუ მოითხოვს სათაო ოფისი გამოსყიდვას. როგორც პრაქტიკული საშუალება, ფილიალი აფასებს „წმინდა ნარჩენი ღირებულება, მიკუთვნებადი სათაო ოფისისთვის“, საწარმოს აქტივების, წმინდად ფასს-ის საბალანსო ღირებულებით.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მომხდარი ცვლილებები წმინდა ნარჩენ ღირებულებაში, რომელიც მიკუთვნებადი სათაო ოფისისთვის, ფულადი ნაკადების ანგარიშებაში ასახულია „საფინანსო საქმიანობის“ ნაწილში.

სათაო ოფისისათვის მოგების გადანაწილება აღიარდება მაშინ როდესაც გამოცხადდება. გამოცხადებული მოგების გადანაწილების გადაუხდელი ნაწილი საანგარიშო პერიოდის ბოლოს წარმოდგენილია სათაო ოფისისადმი მიკუთვნებად წმინდა ნარჩენ ღირებულებაში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

რადგან სათაო ოფისისადმი ვალდებულება კანონიდან გამომდინარეობს, ის არ წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტს, მაგრამ ხვდება ბასს-37-ში ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები. აქედან გამომდინარე, ეს ვალდებულება არ ხვდება ფასს 7-ით მოთხოვნილი გამჟღავნების ფარგლებში.

შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ფასს-15-ის დანერგვამ მნიშვნელოვანი გავლენა ვერ მოახდინა ფილიალის 2018 წლის შემოსავლებზე. ფილიალმა ფასს-15-ის დანერგვისთვის აირჩია კუმულაციური ეფექტის მეთოდი, რომელიც არ მოითხოვს წინ წლების რიცხვების გადაანგარიშებას.

ზოგადი მიმოხილვა

ამონაგები აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდოდ შეფასება. ფილიალი აღიარებს შემოსავალს შესრულებული სახელშეკრულებო ვალდებულებების პროპორციულად. ფილიალი მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებს აღიარებს ფასს-15-ის მიხედვით, თუ აკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს:

- ▶ ხელშეკრულების მონაწილე მხარეებმა დაამტკიცეს ხელშეკრულება (წერილობით, სიტყვიერად ან სხვა მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად) და შესაბამისი სახელშეკრულებო პირობების ვალდებულება აიღეს;
- ▶ ფილიალს შეუძლია გადასცეს საქონელთან და მომსახურებასთან დაკავშირებული თითოეული მხარის უფლებების იდენტიფიკაცია;

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან (გაგრძელება)

- ▶ ფილიალს შეუძლია გადასაცემი საქონლის ან მომსახურებისთვის გადახდის პირობების იდენტიფიკაცია;
- ▶ ხელშეკრულებას კომერციული შინაარსი აქვს (ე.ი. მოსალოდნელია, რომ მოცემული ხელშეკრულების შედეგად შეიცვლება ფილიალის სამომავლო ფულადი ნაკადების წარმოქმნის ვადები, სიდიდე და მასთან დაკავშირებული რისკები) და ;
- ▶ მოსალოდნელია, რომ ფილიალი მიიღებს ანაზღაურებას, რომლის მიღების უფლებასაც მოიპოვებს მომხმარებლისათვის საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ.

შემოსავლის აღიარებამდე ასევე აუცილებელია შემდეგი კონკრეტული აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

შემოსავალი განისაზღვრება მისივე სამართლიანი ღირებულებით ან სავაჭრო მოთხოვნებით, რომელშიც გათვალისწინებულია კომპანიის ფასდაკლებები და ფასდათმობები. შემოსავალი მცირდება შეფასებული ფასდაკლებებით და სხვა მსგავსი შეღავათებით.

შემოსავალი აღიარდება როდესაც ან როგორც კი შესრულდება კონტრაქტით განპირობებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლის კონტროლის ქვეშ გადაცემა. კონტროლის გადაცემა ხდება დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ან დროის გარკვეულ მომენტში.

შესასრულებელი ვალდებულება და ამონაგების აღიარების დროულობა

ფილიალის ამონაგების ძირითად ნაწილს წარმოადგენს „სამხრეთ კავკასიის გაზსადენის გაფართოების“ (SCPX) და დასავლეთის მიმართულების სექციური ცვლილების პროექტის (WREP) ფარგლებში სამუშაოების შესრულება, რომელიც მოიცავს მილსადენების გაყვანას, ასევე მათ შემდგომი მომსახურებას.

ფილიალის პოლიტიკა ზემოთ ჩამოთვლილი შემოსავლის მაფორმირებელი საქმიანობებისთვის მოცემულია ქვემოთ:

შემოსავალი სამშენებლო მომსახურებიდან

ამონაგები სამშენებლო საქმიანობიდან აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი მოცემულ აქტივზე გადაეცემა მომხმარებელს. ვალდებულების შესრულების ხარისხის შეფასებისას ფილიალი იყენებს შედეგების მეთოდს. აქედან გამომდინარე, ამ სახის შემოსავალის აღიარება ხდება, როდესაც შედეგების შესაბამისად გამოითვლება ვალდებულების შესრულების ხარისხი და დაანგარიშდება შესაბამისი პროექტის ეტაპების დასრულება.

გამოყენებული გათავისუფლება

ფილიალმა გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- ▶ არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ▶ ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება) ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

მომსახურების გაწევისას წარმოქმნილი ხარჯები აღიარდება მიღებული შემოსავლის პროპორციულად. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ფილიალი დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ანაზღაურებულ თანხებს, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას:

- ▶ ხელფასები;
- ▶ წლიური ფასიანი შევებულებები და ბიულეტენის ანაზღაურება;
- ▶ არაფულადი გასამრჯელოები არსებულ დაქირავებულთა პირთათვის.

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ფილიალმა დასაქმებულისგან. ფილიალს არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განახორციელოს.

რეალური ღირებულებით შეფასება

ფილიალის ფინანსური ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულებით შეფასება და განმარტება. რეალური ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული ანდ გადახდილი იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, შეფასების თარიღისათვის ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს. რეალური ღირებულების შეფასება გულისხმობს, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის ოპერაცია ხორციელდება:

- ▶ მოცემული აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე; ან
- ▶ მოცემული აქტივის, ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე, თუ არ არსებობს ძირითადი ბაზარი.

აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულება ისეთი დაშვებების გამოყენებით უნდა შეფასდეს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებდნენ აქტივის ან ვალდებულების ფასის დადგენისას, თუკი იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად.

ფილიალი იყენებს რეალური ღირებულების ისეთ მეთოდს, რომელიც მოცემული გარემოების შესაფერისია და რომლისთვისაც საკმარისი მონაცემები არსებობს რეალური ღირებულების შესაფასებლად. ფილიალი იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. ხარჯები, რომლებიც გამოიყენება რეალური ღირებულების შეფასებისთვის, კლასიფიცირდება სხვადასხვა დონეზე, იმის მიხედვით თუ რამდენად შესამჩნევი ხარჯები არის გამოყენებული შეფასების მეთოდის განსაზღვრისთვის (რეალური ღირებულების იერარქია):

- ▶ დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული);
- ▶ დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირ ან არაპირდაპირი ემპერიული მონაცემების მიხედვით, როგორცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს;

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

რეალური ღირებულებით შეფასება (გაგრძელება)

- ▶ დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ფინანსურ ანგარიშგებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს გარკვეულმა მოვლენებმა, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდეგ ხდება. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძველში, საზოგადოდ, განსაზღვრულია ორი ტიპის მოვლენა:

ა) მაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) არსებულ პირობებზე; და

ბ) არამაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა ფინანსური ანგარიშგების თარიღის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) შემდგომ პერიოდში.

ახალი სტანდარტები ინტერპრეტაციები და შესწორებები

ახალი და შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები ეფექტურია 2019 წლის 1 იანვრის ან მას შემდეგ დაწყებული ყოველწლიური პერიოდებისთვის, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი. ფილიალმა დანერგა ყველა ახალი და შესწორებული სტანდარტი და სტანდარტების საბჭოს – ის მიერ გაცემული ინტერპრეტაციები, რომლებიც სავალდებულოა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდისთვის.

ფილიალს არ მიუღია სტანდარტები, ინტერპრეტაციები და დამატებები, რომელიც არის გამოცემული, თუმცა ჯერ არ არის ძალაში შესული.

ამ ფინანსურ ანგარიშგებაში, ფილიალმა პირველად დანერგა ფასს-16 იჯარა. 2019 წელს პირველად გამოიყენება რამდენიმე სხვა ცვლილება და ინტერპრეტაცია, მაგრამ გავლენას არ ახდენს ფილიალის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 16 იჯარები

ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფაისკ (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა – სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს-16 მოიცავს ყველა ტიპის იჯარას გარკვეული გამონაკლისებით. იჯარა განისაზღვრება როგორც ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს აქტივის (ძირითადი აქტივების) გამოყენების უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების ის პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის – „დაბალი ღირებულების მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით). საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე. ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებულებები არიან ცალკე აღიარონ საიჯარო

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები (გაგრძელება)

ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი. მეიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორც ბასს 17-ის მიხედვით და გამიჯნავს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს.

თავდაპირველი აღიარების თარიღისთვის 2019 წლის 1 იანვრის ფილიალმა ფასს-16 დანერგვისთვის გამოიყენა მოდიფიცირებული რეტროსპექტული მეთოდი. აღნიშნული მეთოდის თანახმად, სტანდარტი გამოყენებულია რეტროსპექტულად, ამ სტანდარტის პირველად გამოყენებით გამოწვეული კუმულაციური ეფექტის აღიარებით თავდაპირველი გამოყენების თარიღით. ფილიალმა გარდამავალი პრაქტიკური მიზანშეწონილობისთვის აირჩია არ შეეფასებინა არის თუ არა ხელშეკრულება საიჯარო ხელშეკრულება და მოიცავს თუ არა ის იჯარას 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ამის ნაცვლად, ფილიალმა გამოიყენა სტანდარტი მხოლოდ იმ ხელშეკრულებებზე, რომელიც ადრე იყო იდენტიფიცირებული, როგორც იჯარა, რომელზეც ვრცელდებოდა ბასს-17 და ფასს-4, თავდაპირველი აღიარების პერიოდში.

ფასს 16-ის დანერგვამდე ფილიალმა თითოეული იჯარა დააკლასიფიცირა როგორც საოპერაციო იჯარა საწყისი თარიღიდან. სტანდარტი ითვალისწინებს გადასვლის სპეციფიკურ მოთხოვნებს და პრაქტიკულ მიზანშეწონილობას, რომელიც გამოყენებულია ფილიალის მიერ. ფილიალმა აღიარა აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები იმ იჯარებისთვის, რომლებიც ადრე იყო კლასიფიცირებული, როგორც საოპერაციო იჯარა, გარდა მოკლევადიანი იჯარებისა და დაბალი ღირებულების აქტივების გარდა. აქტივის გამოყენების უფლება აღიარებულ იქნა საიჯარო ვალდებულების ტოლი თანხით, კორექტირებული ნიზისმიერი წინასწარ გადახდილი და დარიცხული საიჯარო გადასახდელებით რომლებიც აღიარებული იყო წინა პერიოდში. საიჯარო ვალდებულებები აღიარებულ იქნა დარჩენილი სამომავლო საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, დადისკონტირებული თავდაპირველი აღიარების დღეს არსებული ზღვრული საპროცენტო განაკვეთით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2019 წლის 1 იანვრისთვის:

- ▶ აქტივის გამოყენების უფლება 328,646 ლარით აღიარებულ და წარმოდგენილ იქნა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში;
- ▶ საიჯარო ვალდებულებები 328,646 ლარით აღიარებულ იქნა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ფასს 16-ის დანერგვას ფილიალში არანაირი გავლენა არ ჰქონია გაუნაწილებელ მოგებაზე.

ფილიალმა აგრეთვე აირჩია გამოიყენოს აღიარებიდან განთავისუფლება იმ საიჯარო ხელშეკრულებებზე, რომელთაც საიჯარო ვადის დაწყების დღეს იჯარის ვადა მოიცავს 12 თვეს ან ნაკლებ ვადას და არ მოიცავს შესყიდვის არჩევანის უფლებას (მოკლევადიანი იჯარა).

საიჯარო ვადის თავდაპირველ პერიოდში ხარჯები დაკავშირებული იჯარასთან ფასს 16-ის მიხედვით იქნება მაღალი ვიდრე ხარჯები ბასს 17-ით დაანგარიშებული საიჯარო ხარჯებთან. ამასთან EBITDA (მოგება პროცენტის, საგადასახადო, ცვეთის და ამორტიზაციამდე) შედეგების გაუმჯობესება ხდება, გამომდინარე იქედან რომ საოპერაციო ხარჯი ჩანაცვლდა საპროცენტო ხარჯით და ცვეთით მოგება ზარალში. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების კლასიფიკაციისთვის, პროცენტის ნაწილი წარმოდგენილია საოპერაციო საქმიანობაში და საიჯარო გადახდების ძირი განცალკევებულად წარმოდგენილია ფინანსურ საქმიანობაში.

ფასს 9 – ში შეტანილი ცვლილებები: წინასწარი გადახდის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით

ფასს-9-ის თანახმად, სესხის ინსტრუმენტი შეიძლება შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იმ პირობით, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები არის „მხოლოდ ძირითადი თანხის გადახდა და პროცენტის“ (SPPI-ის კრიტერიუმი) და ფინანსური ინსტრუმენტი აღიარდება ბიზნეს მოდელის კლასიფიკაციის

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები (გაგრძელება)

შესაბამისად, ფასს 9 – ში შეტანილი ცვლილებებით განმარტებულია, რომ ფინანსური აქტივი გადადის SPPI კრიტერიუმს, მიუხედავად მოვლენის ან გარემოების შესახებ, რომელიც იწვევს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტას და იმისდა მიუხედავად, თუ რომელი მხარე იხდის ან იღებს გონივრულ ანაზღაურებას ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისათვის.

ამ ცვლილებებმა გავლენა არ მოახდინა ფილიალის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ბასს 19-ში: გეგმის ცვლილება, შემცირება და ანგარიშსწორება

ბასს 19-ში შეტანილი ცვლილებები ეხება აღრიცხვას, როდესაც გეგმის ცვლილება, შემცირება ან ანგარიშსწორება მოხდება საანგარიშო პერიოდში. ცვლილებებში მითითებულია, რომ როდესაც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გეგმის ცვლილება, შემცირება ან ანგარიშსწორება ხდება, ერთეულს მოეთხოვება განსაზღვროს მიმდინარე მომსახურების ღირებულება გეგმის ცვლილების, შემცირების ან ანგარიშსწორების შემდეგ პერიოდის დარჩენილი პერიოდისთვის, გამოყენებული აქტუალური ვარაუდების გამოყენებით. განმეორებით განსაზღვრეთ სარგებლიანი ვალდებულების (აქტივობის) განზომილება, რომელიც ასახავს ამ ღონისძიების შემდეგ გეგმით გათვალისწინებულ შეღავათებს და გეგმის აქტივებს. სუბიექტი ასევე ვალდებულია დაადგინოს გეგმის ცვლილების, შემცირების ან ანგარიშსწორების შემდეგ დარჩენილი პერიოდის წმინდა პროცენტი, განსაზღვრული სარგებლიანი ვალდებულების (აქტივის) გამოყენებით, რომელიც ასახავს შეთავაზებულ სარგებელს და გეგმის აქტივებს ამ მოვლენის შემდეგ, და ფასდაკლებით განაკვეთი გამოიყენება განსაზღვრული სარგებლიანი ვალდებულების (აქტივის) განმეორების მიზნით.

ცვლილებებმა გავლენა ვერ მოახდინა ფილიალის ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან ამ პერიოდში მას არ ჰქონდა რაიმე გეგმის ცვლილებები, შემცირებები ან ანგარიშსწორება.

4. გამოცემული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც არის გამოცემული, მაგრამ ჯერ არ არის შესულა ძალაში კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნებამდე მოცემულია ქვემოთ. ფილიალი აპირებს მიიღოს აღნიშნული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, საჭიროების შემთხვევაში, როდესაც ისინი ძალაში შევა.

ცვლილებები ბასს 1-ში და ბასს 8-ში: მატერიალურობის განმარტება

2018 წლის ოქტომბერში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემულ იქნა ცვლილებები ბასს 1 „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ და ბასს 8 „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“, რომელიც ეხება მატერიალურობის განმარტების გათანაბრებას სტანდარტებს შორის და განმარტების გარკვეული ასპექტების გარკვევას. ახალი განმარტებით აღნიშნულია რომ, ' ინფორმაცია არის არსებითი თუ მისი გამოტოვება, არასწორად აღნიშვნა ან დამალვა(დაფარვა) ქმნის ალბათობას რომ ფინანსური ანგარიშგებების იმ უპირველეს მომხმარებლებზე გადაწყვეტილებების მიღებისას იქონიებს გავლენას, რომლებიც იძლევიან ფინანსურ ინფორმაციას კონკრეტულ საანგარიშგებო პირზე. ცვლილებები მატერიალურობის განმარტებასთან დაკავშირებით მოსალოდნელია რომ აქ ექნება გავლენა ფილიალის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ფილიალის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია ფილიალის ფინანსური მდგომარეობისთვის და ფინანსური შედეგებისთვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებები იცვითება/ამორტიზდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ფილიალი აქტივიდან სარგებლის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში. სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

დაკავშირებული მხარეების გარიგებები

ჩვეულებრივად, ფილიალი აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9-ა მოითხოვს, გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულებით. მსჯელობა გამოიყენება იმის განსაზღვრად შეესაბამება თუ არა ტრანზაქცია საბაზრო თუ არა საბაზრო ღირებულებას, იმ შემთხვევაში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი.

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების ცვლილებები იყო შემდეგი:

	შენიშვნა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ჯამი
<u>თვითღირებულება:</u>					
31 დეკემბერი 2018 წ.	482,769	10,377,464	468,753	26,852	11,355,838
შემოსვლა	-	889,736	5,864	-	895,600
გასვლა	(6,235)	(857,570)	(114,824)	(8,941)	(987,570)
31 დეკემბერი 2019 წ.	476,534	10,409,630	359,793	17,911	11,263,868
შემოსვლა	-	-	-	-	-
გასვლა	-	(114,733)	-	-	(114,733)
31 დეკემბერი 2020 წ.	476,534	10,294,897	359,793	17,911	11,149,135
<u>დაგროვილი ცვეთა</u>					
31 დეკემბერი 2018 წ.	175,822	2,298,122	191,845	11,321	2,677,110
წლიური ცვეთა	42,741	1,629,007	91,847	2,148	1,765,743
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	(2,605)	(545,144)	(90,266)	(4,987)	(643,002)
31 დეკემბერი 2019 წ.	215,958	3,381,985	193,426	8,482	3,799,851
წლიური ცვეთა	31,927	1,198,833	51,144	1,322	1,283,226
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	(11,929)	-	-	(11,929)
31 დეკემბერი 2020 წ.	247,885	4,568,889	244,570	9,804	5,071,148
<u>საბალანსო ღირებულება:</u>					
31 დეკემბერი 2019 წ.	260,576	7,027,645	166,367	9,429	7,464,018
31 დეკემბერი 2020 წ.	228,649	5,726,008	115,223	8,107	6,077,988

ერთობლივი საწარმო „აზფენ“-ის საქართველოს ფილიალი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

7. ფული და მისი ექვივალენტები

ფილიალის ფული და ფულის ექვივალენტები 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ფულადი სახსრები სალაროში (ლარში დენომინირებული)		
მოთხოვნისას გადასახადელი საბანკო ბალანსები:	67,012	215,000
ლარში დენომინირებული	67,012	215,000
აშშ დოლარში დენომინირებული	-	-
აზერბაიჯანული მანათი საბანკო ანგარიშებზე	-	-
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	67,012	215,000

ფულადი სახსრები განთავსებულია ქართულ ბანკებში და არის დაბალი რისკის მატარებელი. მოკლევადიანი ხასიათის გამო ფულს და ფულის ექვივალენტებზე არ არის შექმნილი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი.

8. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

ფილიალის სასაქონლო-მატერიალური მარაგები 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
სამშენებლო მასალები და სხვა ინვენტარი	5,621,110	5,754,087
საწვავი	5,056	25,266
სულ მარაგები	5,626,166	5,779,353

9. სავაჭრო მოთხოვნები

ფილიალის სავაჭრო მოთხოვნები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება 126,085 ლარით (2019 წლის 31 დეკემბერს: 1,495,569 ლარი). კომპანიის ძირითად დებიტორს წარმოადგენს ბრიტიშ პეტროლეუმი (BP). კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე სავაჭრო მოთხოვნები არ ექვემდებარება გაუფასურებას და მათზე არ არის შექმნილი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი.

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ფილიალის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	763,579	123,348
გადასახდელი ხელფასები	788	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	764,367	123,348

ერთობლივი საწარმო „აზფენ“-ის საქართველოს ფილიალი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

11. შემოსავალი

შემოსავალი პროექტების მიხედვით 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით :

	2020	2019
სამხრეთ კავკასიის გაზსადენის გაფართოების (SCPX)	-	3,402,627
სექციური ცვლილებების პროექტებს (WREP)	-	39,790,719
სხვა შემოსავალი	234,398	587,462
	234,398	43,780,808

12. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

ფილიალის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2019	2018
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	1,198,833	1,750,671
იჯარის ხარჯები	216,260	-
გახარჯული მასალის ხარჯი	175,804	2,140,106
საკომუნიკაციო ხარჯები	71,270	168,422
კომუნალური ხარჯები	26,550	584,007
კვების ხარჯები	14,629	376,282
ტრანსპორტირების ხარჯები	5,097	55,650
ავტომობილების რემონტის ხარჯები	3,706	108,654
ტრენინგის ხარჯები	1,250	7,512
სამშენებლო მოედანზე გაწეული სამუშაოს ხარჯები	1,116	31,839
ხელფასის ხარჯები	-	4,167,151
მოკლევადიან იჯარასთან დაკავშირებული ხარჯები	-	2,460,215
საწვავის ხარჯები	-	681,252
ინსტალაციის ხარჯები	-	175,245
სასტუმროსა და განთავსების ხარჯები	-	82,569
მომსახურების ხარჯები	-	26,652
სხვა ხარჯები	33,592	854,359
სულ	1,748,107	13,670,586

ერთობლივი საწარმო „აზფენ“-ის საქართველოს ფილიალი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ფილიალის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2020	2019
ხელფასის ხარჯი	1,935,387	953,311
ცვეთის ხარჯი	84,393	175,757
საწვავის ხარჯი	52,486	12,466
საკონსულტაციო ხარჯები	25,520	79,487
დაზღვევის ხარჯი	29,624	66,754
სასტუმროსა და განთავსების ხარჯები	8,581	54,352
მოკლევადიან იჯარასთან დაკავშირებული ხარჯები	-	195,726
სამედიცინო შემოწმების ხარჯები	-	178,400
მომსახურების ხარჯები	-	50,596
ლაბორატორიის მომსახურების ხარჯები	-	22,612
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	-	4,000
საბანკო ხარჯები	-	2,042
პარკირების ხარჯი	-	331
ოფისის იჯარის ხარჯი	-	-
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	59,880	89,411
სულ	2,195,871	1,885,245

14. არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)

ფილიალის სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი) 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2020	2019
შემოსავალი/(ხარჯი) სავალუტო კურსთაშორის სხვაობიდან	(17,378)	819,807
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	25,967	(44,276)
	8,589	775,531

15. ფინანსური რისკი

ფილიალი არ არის დაცული სხვადასხვა რისკებისგან, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ ინსტრუმენტებთან. ძირითადი რისკების ტიპებია სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები.

ფილიალი არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში. ძირითადი რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ აქტივებთან ნაჩვენები და აღწერილია ქვემოთ:

სავალუტო რისკი

31 დეკემბერი, 2020	ლარი	ევრო	აშშ დოლარი	აზერბაიჯანული მანათი	სულ
<i>ფინანსური აქტივები</i>					
ფული და ფულის ეკვივალენტები	67,012	-	-	-	67,012
წინასწარ გადახდილი ავანსები	24,262	-	-	-	24,262
სავაჭრო მოთხოვნები	-	-	126,085	-	126,085
სულ ფინანსური აქტივები	91,274	-	126,085	-	217,359
<i>ფინანსური ვალდებულებები</i>					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	764,367	-	-	-	764,367
სულ ფინანსური ვალდებულებები	764,367	-	-	-	764,367
ღია სავალუტო პოზიცია	(673,093)	-	126,085	-	(547,008)

ერთობლივი საწარმო „აზფენ“-ის საქართველოს ფილიალი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

31 დეკემბერი, 2019	ლარი	ევრო	აშშ დოლარი	აზერბაიჯანული მანათი	სულ
<i>ფინანსური აქტივები</i>					
ფული და ფულის ეკვივალენტები	215,000	-	-	-	215,000
წინასწარ გადახდილი ავანსები	31,986	-	-	-	31,986
სავაჭრო მოთხოვნები	-	-	1,495,569	-	1,495,569
სულ ფინანსური აქტივები	246,986	-	1,495,569	-	1,742,555
<i>ფინანსური ვალდებულებები</i>					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	123,348	-	-	-	123,348
სულ ფინანსური ვალდებულებები	123,348	-	-	-	123,348
ღია სავალუტო პოზიცია	123,638	-	1,495,569	-	1,619,207

წარმოდგენილი ცხრილი დეტალურად აღწერს ფილიალის დამოკიდებულებას 20%-იან ზრდასთან და ლარის გაუფასურებასთან დოლარის და ევროს მიმართ. 20% წარმოდგენს ხელმძღვანელობის დამოკიდებულებას შესაძლო საკურსო ცვლილებებთან. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ მონეტარულ საბალანსო ნაშთებს და აკორექტირებს ამ ნაშთებს 20% იანი საკურსო სხვაობის მერყეობით.

დადებითი რიცხვი წარმოადგენს მოგების ან ზარალის ზრდას, სადაც ლარი მყარდება წარმოდგენილი ვალუტის მიმართ:

	დოლარის ეფექტი 2020		დოლარის ეფექტი 2019	
	ზრდა 20%	შემცირება 20%	ზრდა 20%	შემცირება 20%
მოგება/(ზარალი)	25,217	(25,217)	299,114	(299,114)

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ფილიალი მიიღებს ფინანსურ ზარალს. ფილიალის პოლიტიკის მიხედვით, ურთიერთობს კრედიტუნარიან კონტრაქტორებთან, რის შედეგადაც მცირდება კონტრაქტორის დეფოლტის რისკი, მაქსიმალურ საკრედიტო რისკს წარმოადგენს შემდეგი ფინანსური აქტივები:

	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	126,085	1,495,569
ფული ბანკში	67,012	215,000
	193,097	1,710,569

ერთობლივი საწარმო „აზფენ“-ის საქართველოს ფილიალი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ფილიალის მიერ ვალდებულების ვერ შესრულების რისკი.

ფილიალის პოლიტიკაა განახორციელოს გონივრული ლიკვიდურობის დონის მართვა, რაც გულისხმობს ნაღდი ფულისა და საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხის საკმარისი დონის შენარჩუნებას, ისევე როგორც მაღალ ლიკვიდური აქტივების ქონას რომელიც უზრუნველყოფს ყველა ოპერაციისა და ვალის მომსახურების დაფარვას მისი დადგომის მომენტისათვის.

შემდეგი ცხრილი შედგენილი იქნა ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით.

31 დეკემბერი, 2020	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	67,012	-	67,012
სავაჭრო მოთხოვნები	126,085	-	126,085
სულ ფინანსური აქტივები	193,097	-	193,097
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	764,367	-	764,367
სულ ფინანსური ვალდებულებები	764,367	-	764,367
ლიკვიდურობის გარღვევა	(571,270)	-	(571,270)
კუმულატიური ლიკვიდურობის გარღვევა	(571,270)	-	

31 დეკემბერი, 2019	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	215,000	-	215,000
სავაჭრო მოთხოვნები	1,495,569	-	1,495,569
სულ ფინანსური აქტივები	1,710,569	-	1,710,569
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	123,348	-	123,348
სულ ფინანსური ვალდებულებები	123,348	-	123,348
ლიკვიდურობის გარღვევა	1,587,221	-	1,587,221
კუმულატიური ლიკვიდურობის გარღვევა	1,587,221	-	

16. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალი და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ ფილიალს დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია სამი წელი.

საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, იგი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას ადეკვატურად უზრუნველყოფს. თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და ამ ინტერპრეტაციების განხორციელებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სასამართლო დავები

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფილიალს არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მეტიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასამართლო დავებთან დაკავშირებით და არც პირობითი ვალდებულების სახით ასახული წინამდებარე განმარტებით შენიშვნაში.

17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

ა) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.

ბ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

გ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

დ) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

ე) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

ვ) დასაქმების შემდგომი შედავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ინფორმაცია 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთებისა და ტრანზაქციების შესახებ.

ხელმძღვანელობაზე დარიცხული ხელფასი და სხვა სარგებელი:

	2020	2019
ხელფასი და სხვა სარგებელი	420,894	622,518

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.